სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება № 400

(ოქმი № 365)

თბილისი

2017 წლის 8 დეკემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 15 (თხუთმეტი) ერთეული მსუბუქი განმავლობის ავტომანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 04.12.2017წ. №5249/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" შეისყიდოს 15 (თხუთმეტი) ერთეული მსუბუქი განმავლობის ავტომანქანა (ერთი ავტომანქანის ზღვრული სავარაუდო ღირებულებით (ავტომობილის ფასს დამატებული საგარანტიო მომსახურების ღირებულება და დამატებული წლიური საწვავის ხარჯი) 39 866 (ოცდაცხრამეტიათას რვაასსამოცდაექვსი) ლარი), ამასთან დაკავშირებით გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი და ტენდერში გამარჯვებულ პირთან მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 04.12.2017წ. №5249/03 სამსახურებრივი ბარათი შესაბამისი დანართით (სულ: 3 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი